ხელშეკრულება №1-233
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 09 სექტემბერი 2014 წ

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-9 მუხლის მე-3[1] პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, ერთის მხრივ, საქართველოს გარემოსა და უნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“** (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი უფროსის **ვლადიმერ ლაზარიშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „თანადგომა-1“ გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი** (შემდგომში **„მიმწოდებელი“**) მისი დირექტორის **მარინა კანდელაკის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის ობიექტის დასახელება: ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები CPV kodiT 79800000, „მიმწოდებელი“ ვალდებულებას იღებს 2014 წლის 09 სექტემბრიდან 09 ოქტმბრის ჩათვლით „შემსყიდველს“ გაუწიოს დანართი №1-ში მითითებული სახის მომსახურება (**CPV კოდით 79824000 ბეჭდვა და გავრცელება)**

1.1. შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა.

1.2. დაფინანსების წყარო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის არასაბიუჯეტო სახსრები.

2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი წარმოდგენილია დანართი #1-ში

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება 1858,48 **(ერთიათას რვაას ორმოცდათვრამეტი ლარი და 48 თეთრი) ლარს დღგ-ს გარეშე.**

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. გაწეული მომსახურება უნდა იყოს 1.1. ქვეპუნქტში და დანართი N1-ში მითითებული პირობების შესაბამისი.

4.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს: **2014 წლის 09 ოქტომბრამდე ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ მიმდინარე დღის 19:00 საათამდე მიწოდებული მასალის, (მათ შორის ელექტრონული ვერსია) განცხადების გამოქვეყნება მომდევნო დღის გაზეთში.**

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია: უზრუნველყოს წიმანდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტში და დანართი N1-ში მითითებული პირობების დროული შესრულება.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია: უზრუნველყოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების დროული ანგარიშსწორება.

6. ანგარიშსწორების წესი და პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება.

6.2. ანგარიშსწორება ხორციელდება თითოეული გაწეული მომსახურების (განცხადების გაზეთში განთავსების) შემდეგ წარმოდგენილი საბუღალტრო დოკუმენტისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

6.3. ანგარიშსწორების საფუძველია მიღება_ჩაბარების აქტი და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაცია.

7. მომსახურების მიწოდებისა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია სსიპ "გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი გელაშვილი.**

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი, თავიანთ ვალდებულებათა სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა სტიქიური მოვლენები, ომები ან საომარი მდგომარეობები, აგრეთვე სხვა გადაულახავი გარემოებები, თუ ისინი უშუალოდ ახდენენ გავლენას ხელშეკრულების შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება წყდება ან მისი შესრულების ვადა გადაიწევს შეასაბამისი დროით.

8.2. მხარე, რომელიც აღმოჩნდება ფორს-მაჟორულ სიტუაციაში, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა გადააჭარბებს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის ობიექტის ხარისხი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. და 3.1 პუნქტებში მითითებულ პარამეტრებს, შემსრულებელი ვალდებულია, შემსყიდველის წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლის ან/და დეფექტის აღმოფხვრა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი განაცხადებს არამოტივირებულ უარს შესყიდვის ობიექტის შესყიდვაზე, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შემთხვევაში, შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

10.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს ლიცენზირების დეპარტამემტის უფროსის მოადგილე **ირაკლი ნადარეიშვილი.**

11. დავის გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია, გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. ასეთი მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია **2014 წლის 09 ნოემბრის ჩათვლით.**

12.2. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო 2 (ორი) ეგზემპლარი დამკვეთს.

12.3. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებელის გამზ.№150
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „პროკრედიტ ბანკი" ც/ფ
ბანკის კოდი: GE22
ანგარიშის №GE32PC0133400100000051
ტელ: 243 95 45

ვლადიმერ ლაზარიშვილი
სააგენტოს უფროსი

"მიმწოდებელი"

შპს „თანადგომა-1"
გაზეთ საქართველოს
რესპუბლიკის გამომცემელი
მის: თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ.№150
საიდენტიფიკაციო კოდი:202411808
სს„საქართველოს ბანკი"
ბ/კ BAGAGE22
ანგარიშის №GE97BG0000000212408500
ტელ299 62 77, 599 79 76 79

მარინა კანდელაკი
დირექტორი

2014 წელს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №1-233- ის დანართი №1

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს განცხადებების ბეჭდურ პრესაში გამოქვეყნების მომსახურება.

7.1.1 ბეჭდურ პრესაში გამოსაქვეყნებელი განცხადებების სავარაუდო რაოდენობაა 11359,903 სმ2

7.1.2 განცხადების გამოქვეყნება უნდა განხორციელდეს 2014 წლის 09 ოქტომბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ მიმდინარე დღის 19:00 სააათამდე მიწოდებული მასალის (მათ შორის: ელექტრონული ვერსია) განცხადებების გამოქვეყნება მომდევნო დღის გაზეთში.

7.1.3 გამოქვეყნებული განცხადებების ტექსტის შრიფტის მაქსიმალური ზომა უნდა იყოს (სათაურის გარდა) – 8 პტ. შრიფტის კონკრეტული პარამეტრები განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებისას.

7.1.4 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული გაზეთი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უნდა ვრცელდებოდეს საქართველოს მთელი ტერიტორიის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მასშტაბით;
ბ) უნდა გამოდიოდეს კვირაში 5–ჯერ (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით);
გ) უნდა აქვეყნებდეს საქმიან განცხადებებს;
დ) გაზეთის გამოცემის ტირაჟი უნდა იყოს არანაკლებ 5 000 ეგზემპლარი.

შპს “თანადგომა – 1”-ის
დირექტორი
მარინა კანდელაკი

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო”
უფროსი
ვლადიმერ ლაზარიშვილი

მიღება – ჩაბარების აქტი
№ 1-233/1

ქ. თბილისი 09 სექტემბერი 2014 წ.

წინამდებარე აქტი შედგენილია მასზედ, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-სა ("შემსყიდველი") და შპს „თანადგომა-1" გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი ("მიმწოდებელი") შორის 2014 წლის 09 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1-233 ხელშეკრულების შესაბამისად მიმწოდებელმა შემსყიდველს გაუწია შემდეგი სახის მომსახურება: გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკა"-ში განცხადებების განთავსება, კერძოდ:

- **11359.903სმ^2 X 0.1636 = 1858.48 (ერთიათას რვაასორმოცდათვრამეტი ლარი და 48 თეთრი) დღგ-ს გარეშე.**

ჩააბარა:
შპს "თანადგომა - 1"

დირექტორი: **მარინა კანდელაკი**

მიიღო:
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"
ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი გელაშვილი**